საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევგენიძე დათო ნუგზარის ძე

დ. ევგენიძე

ევგენიძე დათო (დავით) ნუგზარის ძე (დ. 2. XII. 1958, თბილისი), კომპოზიტორი, პიანისტი. დაამთავრა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორია (1982). მუშაობდა ესპანეთში, საფრანგეთსა და აშშ-ში. ე. ავტორია საფორტეპიანო, კამერულ-ინსტრუმენტული და კამერულ-ვოკალური ნაწარმოებებისა. მოსკოვის საერთაშ. კონკურსზე „იმპროვიზაცია მოცემულ თემაზე" (1979) და ბალეტის მე-5 საერთაშ. კონკურსზე საბალეტო დივერტისმენტისათვის „როდენის მოაზროვნე" (1982) მიიღო პირველი პრემიები, სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორების კონკურსზე კი ვოკალურ-ინსტრუმენტული ციკლისათვის „ვარდი სილაში" – „გრან-პრი" (1983). მისი საბალეტო დივერტისმენტები დაიდგა ნიუ-იორკსა (1983) და მოსკოვში (1986). ჩატარებული აქვს საავტორო კონცერტები ესპანეთში (1988), საფრანგეთსა (1988; 1998) და თბილისში (1998; წლის საუკეთესო მუსიკოსი). 1994 კანარის კუნძულებზე (ესპანეთი) საფუძველი ჩაუყარა ფესტივალს „დექსი-ტენერიფე". ე. ავტორია 3 დრამ. სპექტაკლის და 42 ფილმის მუსიკისა, მ. შ. შექმნა საუკეთესო მუსიკა ფილმებისათვის: „ბალეტმაისტერი" (პირველი პრემია, 1995; თბილ. საერთაშ. ფესტივალი „მანა"), „როცა ოთარი წავიდა" (პრემია „ცეზარი"; 2004); „მე-9 ასეული" (პრემიები: „ოქროს ვერძი", 2005; „ოქროს არწივი", 2005 და „ნიკა", 2006). პარიზში გამოუშვა ალბომები „პიანო ინტერვიუ" (1999) და „ჰოროსკოპი" (2002). ჯ. ბალანჩინის 100 წლის იუბილეს მიუძღვნა მუსიკა ბალეტისათვის „საფირონები" (2004). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).